

## სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი

<b>1. საკონტაქტო ინფორმაცია</b>	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	ფასების სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი თეთრაული
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	-
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	<a href="mailto:gtetrauli@geostat.ge">gtetrauli@geostat.ge</a>
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (400)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

<b>2. მეტამონაცემების განახლება</b>	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2023 წ. 10 თებერვალი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2023 წ. 10 თებერვალი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2023 წ. 10 თებერვალი

<b>3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა</b>	
<b>3.1. მონაცემების აღწერა</b>	
<p>სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი წარმოადგენს მომხმარებელთა მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების საშუალო დონის მაჩვენებელს საბაზო პერიოდთან შედარებით. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე როგორც რეზიდენტების, ისე არარეზიდენტების მიერ გაწეულ დანახარჯებს საქონელსა და მომსახურებაზე. HICP ეფუძნება ევროკავშირის სტატისტიკის სამსახურის – ევროსტატის მიერ შემუშავებულ ერთიან, ჰარმონიზებულ მეთოდოლოგიას და რეგულაციებს. ინდექსის გაანგარიშებისას მათი ზედმიწევნით დაცვა სავალდებულოა მაჩვენებლის საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველსაყოფად.</p>	
<b>3.2. კლასიფიკაციის სისტემა</b>	
<p>მონაცემები დაჯგუფებულია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკაციის“ ევროპული ვერსიის – ECOICOP (ECOICOP – European Classification of Individual Consumption by Purpose) შესაბამისად.</p>	
<b>3.3. სექტორის მოცვა</b>	
<p>სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის კვლევა მოიცავს ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ პირადი მოხმარების მიზნით შეძენილ საქონელსა და მომსახურებას.</p>	
<b>3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები</b>	
<p>ქვეყნდება შემდეგი მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით;</li> <li>• სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.</li> </ul>	
<b>3.5. სტატისტიკური ერთეული</b>	
<p>გამოქვეყნებული ინდექსი შეესაბამება ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების „საბოლოო მონეტარულ დანახარჯებს“.</p>	
<b>3.6. სტატისტიკური პოპულაცია</b>	
<p>სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი ასახავს ქვეყნის ტერიტორიაზე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მიერ პირადი მოხმარების მიზნით საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების ცვლილებას. ინდექსი არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა თუ ინსტიტუციური დაწესებულებების (სავადმყოფოები,</p>	

ციხეები, თავშესაფრები და სხვ.) მიერ გაწეულ ხარჯებს.
<b>3.7. საანგარიშო არეალი</b>
ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის 6 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებზე. სამომხმარებლო კალათა იდენტიფიკაცია ექვსივე ქალაქისთვის.
<b>3.8. დროის მოცვა</b>
2021 წლიდან.
<b>3.9. საბაზო პერიოდი</b>
წინა თვე, წინა წლის შესაბამისი თვე.

<b>4. ზომის ერთეული</b>
ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით.

<b>5. საანგარიშო პერიოდი</b>
თვე.

<b>6. ინსტიტუციური მანდატი</b>
<b>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</b>
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; <a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a> სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa</a> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. <a href="https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf">https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</a>
<b>6.2. მონაცემთა გაზიარება</b>
-

<b>7. კონფიდენციალურობა</b>
<b>7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა</b>
<ol style="list-style-type: none"> <li>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“: <ul style="list-style-type: none"> <li>კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.</li> <li>კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, <ol style="list-style-type: none"> <li>ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.</li> <li>დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა.</li> <li>ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა.</li> </ol> </li> <li>კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება.  <a href="https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf">https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf</a></li> </ul> </li> <li>„მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“  <a href="https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</a></li> <li>„საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“  <a href="https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf">https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</a></li> <li>საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.  <a href="https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437">https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</a></li> </ol>
<b>7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა</b>
• კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები.

•საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

<b>8. გამოქვეყნების პოლიტიკა</b>
<b>8.1. გამოქვეყნების კალენდარი</b>
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
<b>8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა</b>
<a href="https://www.geostat.ge/ka/calendar">https://www.geostat.ge/ka/calendar</a>
<b>8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა</b>
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.

<b>9. გავრცელების სიხშირე</b>
ყოველთვიური.

<b>10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</b>
<b>10.1. პრეს-რელიზები</b>
-
<b>10.2. პუბლიკაციები</b>
-
<b>10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა</b>
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/725/samomkxmareblo-fasebis-harmonizebuli-indeksi">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/725/samomkxmareblo-fasebis-harmonizebuli-indeksi</a> ასევე მონაცემთა გავრცელების პროგრამის, PC-Axis-ის საშუალებითაც: <a href="http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database">http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database</a>
<b>10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა</b>
-
<b>10.5. სხვა</b>
-
<b>10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე</b>
სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის განგარიშების მეთოდოლოგია განთავსებულია სტატისტიკის სამსახურის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika">https://www.geostat.ge/ka/modules/categories/122/methodologia-fasebis-statistika</a>
<b>10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ</b>
-

<b>11. ხარისხის მართვა</b>
<b>11.1. ხარისხის უზრუნველყოფა</b>
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
<b>11.2. ხარისხის შეფასება</b>
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

<b>12. შესაბამისობა</b>
-------------------------

<b>12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები</b>
სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი გამოიყენება შემდეგი მიზნებისთვის: <ol style="list-style-type: none"> <li>1. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი წარმოადგენს საქართველოში ინფლაციის დონის დამატებით საანალიზო მაჩვენებელს;</li> <li>2. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი გამოიყენება საერთაშორისო შესადარისობის უზრუნველყოფისათვის.</li> </ol> ინდექსის ძირითადი მომხმარებლები არიან: საჯარო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვლევარები და სტუდენტები, მედია საშუალებები და სხვა დაინტერესებული პირები.
<b>12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება</b>
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/ka/page/customer-service">https://www.geostat.ge/ka/page/customer-service</a>
<b>12.3. სისრულე</b>
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.
<b>13. სიზუსტე და სანდოობა</b>
<b>13.1. ზოგადი სიზუსტე</b>
მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია კვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
<b>13.2. შერჩევითი ცდომილება</b>
სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის შერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. არსებული ერთობლიობიდან კვლევის მიზნით გაკეთებული შერჩევის მოცულობა ოპტიმალურია კვლევის მიზნებისა და შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით.
<b>13.3. არაშერჩევითი ცდომილება</b>
სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის არაშერჩევითი ცდომილების შეფასება არ ხდება. ამ სახის ცდომილების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით ინდექსის გაანგარიშების ეტაპი მოიცავს კონტროლის რამდენიმე დონეს.
<b>14. დროულობა და პუნქტუალურობა</b>
<b>14.1. დროულობა</b>
მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვში.
<b>14.2. პუნქტუალურობა</b>
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
<b>15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა</b>
<b>15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული</b>
ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის 6 დიდ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებზე. ეროვნული ინდექსი წარმოადგენს ცალკეული ქალაქების უმცირესი ან ზედა დონის ერთობლიობების ინდექსების შესაბამისი ქალაქების წონებით შეწონილ არითმეტიკულ საშუალოს. სამომხმარებლო კალათა იდენტურია ექვსივე ქალაქისთვის. ფასების შეგროვებისა და ინდექსის გაანგარიშების პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო მეთოდოლოგიას და მასთან სრულ შესაბამისობაშია. გარდა ამისა, ყველა რეგიონში ფასების შეგროვება ხდება ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემების შესადარისობას ქვეყნის შიგნით.
<b>15.2. შესადარისობა – დროში</b>
მონაცემები გაანგარიშებულია 2021 წლიდან და შესადარისია როგორც მთლიანი ინდექსის, ისე ჯგუფების დონეზე.
<b>15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის</b>
მონაცემები თანამიმდევრულია.
<b>15.4. თანამიმდევრულობა – შიდა</b>
ინდექსები შესაბამისობაშია საწყის მონაცემებთან – ინდექსები აგრეგირებულ დონეზე მიიღება უმცირესი დონის ინდექსების საფუძველზე, მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის მეშვეობით.

<p><b>16. დანახარჯები და დატვირთვა</b></p> <p>ფასების სტატისტიკური გამოკვლევის წლიური ბიუჯეტი (მოიცავს როგორც სამომხმარებლო, ისე მწარმოებელთა და იმპორტის ფასებს) 2023 წელს შეადგენს 255 200 ლარს.</p>
<p><b>17. მონაცემთა გადასინჯვა</b></p> <p><b>17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა</b></p> <p>სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: <a href="https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf">https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf</a></p> <p><b>17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა</b></p> <p>მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2022 წელს არ მომხდარა.</p>
<p><b>18. სტატისტიკური დამუშავება</b></p> <p><b>18.1. პირველადი მონაცემები</b></p> <p>სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის გაანგარიშებისთვის პირველად მონაცემს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ფასები, რომელიც მოიპოვება ყოველთვიური გამოკვლევის შედეგად. დასაკვირვებელი საქონელი და მომსახურება წარმოდგენილია ფიქსირებული <b>სამომხმარებლო კალათის</b> სახით, რომელიც ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის დანახარჯების სტრუქტურას. სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონელი და მომსახურება შერჩეულია ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემთა საფუძველზე და დაჯგუფებულია „დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების ევროპული კლასიფიკაციის, „ECOICOP“-ის (ECOICOP – European Classification of Individual Consumption by Purpose)“ შესაბამისად. ამჟამად კალათა შედგება 305 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან.</p> <p>ფასების შეგროვება ხდება ქვეყნის <b>6 დიდ ქალაქში</b>: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებზე. ქალაქების არჩევა განპირობებულია რეგიონის მოსახლეობის დანახარჯების წილით მთელ მონეტარულ დანახარჯებში და ამ რეგიონში ქალაქის სიდიდით. ფასების რეგისტრაციისთვის <b>სავაჭრო ობიექტების შერჩევა</b> ხდება მოქმედ ბიზნეს სუბიექტზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. შერჩევა ხდება ქალაქების მიხედვით კალათაში შემავალი სასაქონლო ჯგუფებისთვის (ზოგ შემთხვევაში ინდივიდუალური საქონლისა თუ მომსახურებისათვის) ზომის პროპორციული მიმდევრობითი ალბათური შერჩევის (sequential pps sampling) მეთოდით. ამჟამად დაკვირვებაშია 1 800-ზე მეტი ობიექტი.</p> <p>სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შერჩევის შემდეგ ხდება ბაზრის გამოკვლევა და სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურებისათვის ყველაზე მეტად გაყიდვადი <b>საქონლის (მომსახურების) სახეობების, ანუ ბრენდების</b> განსაზღვრა. შერჩევაში ხვდება სამომხმარებლო ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადი სახეობა. ყოველთვიურად ხდება 16 000-მდე ფასის დაფიქსირება ქვეყნის მასშტაბით.</p> <p><b>18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე</b></p> <p>ფასების რეგისტრატორების მიერ ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის ერთსა და იმავე რიცხვში, 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით პერიოდში.</p> <p><b>18.3. მონაცემთა შეგროვება</b></p> <p>ფასებზე დაკვირვება ხდება ორი ძირითადი მეთოდით – ადგილობრივი და ცენტრალიზებული დაკვირვება. <b>ფასებზე ადგილობრივი დაკვირვება</b> ხორციელდება ფასების რეგისტრატორების მიერ სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების უმეტეს ნაწილზე.</p> <p>ფასებზე ადგილობრივი დაკვირვებისთვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფასების რეგისტრატორი პირადად მიდის დაკვირვების ობიექტზე და აფიქსირებს წინასწარ შერჩეული კონკრეტული სახეობის ფასს;</li> <li>• ფასების რეგისტრატორი სატელეფონო ზარის საშუალებით იგებს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების სახეობის ფასს; ასეთი სახის საქონელსა და მომსახურებას წარმოადგენს: <ul style="list-style-type: none"> <li>○ სატრანსპორტო მომსახურება (მატარებლის ბილეთები; ავიაბილეთები; სამოქალაქო საავტომობილო ტრანსპორტი);</li> <li>○ კავშირგაბმულობა (ტელეფონის სააბონენტო გადასახდელის, საქალაქთაშორისო საუბრების, მობილურ ტელეფონზე საუბრის, ინტერნეტ მომსახურების ტარიფები);</li> <li>○ საკაბელო ტელევიზიით სარგებლობის ტარიფი;</li> </ul> </li> </ul>

- კომუნალური გადასახდელი (ბუნებრივი გაზი, წყალი, ელექტროენერგია, ნაგვის გატანა);
- სამედიცინო მომსახურება (თერაპევტიკისა და სტომატოლოგიის მომსახურება, ქირურგიული და სამშობიარო მომსახურება, სისხლის ანალიზი).

საქონლისა და მომსახურების ფასებზე დაკვირვება ხორციელდება საცალო ვაჭრობისა და მომსახურების შემდეგი ტიპის ობიექტებში:

- ბაზრისა და ბაზრობის ტიპის სავაჭრო ობიექტები;
- მაღაზიები;
- სუპერმარკეტები;
- სპეციალიზებული მაღაზიები და სავაჭრო ქსელები;
- საგაზეთო ჯიხურები;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები;
- დასასვენებელი და გასართობი დაწესებულებები;
- ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საზოგადოებრივი კვების ობიექტები და სხვ.

ფასებზე ცენტრალიზებული დაკვირვება ხორციელდება საქსტატის ცენტრალური ოფისის მიერ. ეს მეთოდი მოიცავს ცენტრალიზებულად დადგენილი ფასების რეგისტრაციას, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სავაჭრო ობიექტების სათაო ოფისებში. ცენტრალიზებული დაკვირვების დროს მნიშვნელოვანია შემოწმდეს, არის თუ არა ხელმისაწვდომი დასაკვირვებელი საქონელი ან მომსახურება შესაბამის ქალაქებში არსებულ ცენტრალიზებულად მართულ ობიექტებში.

ცენტრალიზებულად დადგენილ ფასებზე დაკვირვება გულისხმობს ისეთი საქონლისა და მომსახურების ფასების რეგისტრაციას, რომელზეც მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთი და იგივე ფასი ფიქსირდება, ან რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულ სპეციალიზებულ სავაჭრო ქსელებში წარმოდგენილ პროდუქციას. ასეთ ფასებზე დაკვირვება შეიძლება განხორციელდეს ფასების რეგისტრატორის ან ცენტრალური ოფისის მიერ, დაფიქსირებული ფასის ყველა ქალაქზე შემდგომი გავრცელებით. ამ ტიპის საქონლისა და მომსახურების მაგალითებია:

- ფარმაცევტული საქონელი;
- ახალი და მეორადი ავტომობილები;
- საწვავი (ბენზინი, დიზელის საწვავი);
- მატარებლის ბილეთების ტარიფები;
- ავიაბილეთების ტარიფები;
- მობილურ ტელეფონზე საუბრის ტარიფები;
- საბანკო მომსახურების ღირებულება;
- საქალაქთაშორისო საუბრების ტარიფები და ა.შ.

#### 18.4. მონაცემთა კონტროლი

სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის მონაცემთა კონტროლი ხორციელდება ორ ეტაპად: **პირველ ეტაპზე** კონტროლი ხორციელდება ფასების რეგისტრაციის სავსე სამუშაოების პარალელურად. თუ რეგისტრირებული ფასი სცდება მოცემული საქონლისთვის (მომსახურებისთვის) ფასების წინასწარ განსაზღვრულ პროცენტულ შუალედს, პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებულია კონტროლები, რომლებიც რეგისტრატორს ფასის გადამოწმების მითითებას აძლევს. ფასის სისწორეს ფასების რეგისტრატორი ადასტურებს კომენტარის საშუალებით. რეგისტრირებული მონაცემები იმავე დღეს იგზავნება ცენტრალურ ოფისში, სადაც ხდება მიღებული ინფორმაციის გაანალიზება შესაბამის ქალაქზე პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ და მისი მითითებით, საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრატორი გადამოწმებს ფასებს.

**მეორე ეტაპზე** პირველადი მონაცემების ანალიზი ხორციელდება ცენტრალურ ოფისში ინდექსებისა და საშუალო ფასების გაანგარიშების შემდეგ, რომლის დროსაც ხდება:

1. ექსიცივე ქალაქში დაფიქსირებული დეტალური და ჯგუფის ინდექსების ერთმანეთთან შედარება და საშუალო მნიშვნელობისგან მკვეთრად განსხვავებული ინდექსების სისწორის გადამოწმება;
2. საშუალო ფასებისა და დეტალური ინდექსების დინამიკის ანალიზი.

უმცირესი ერთობლიობის ინდექსი საიმედოდ ითვლება ზემოაღნიშნული კონტროლის ეტაპების გავლის შემდეგ, ქალაქების დონეზე დაფიქსირებული შესადარი ფასების რაოდენობის მიუხედავად.

#### 18.5. მონაცემთა გაანგარიშება

სამომხმარებლო კალათის ჯგუფებისა და ინდივიდუალური საქონლის (მომსახურების) წონები ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას და ასახავს რეზიდენტებისა და არარეზიდენტების მონეტარული დანახარჯების უახლეს მონაცემებს ქვეყნის მასშტაბით. წონების გაანგარიშების დამატებით წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან

მიღებული ინფორმაცია. მიღებული წონები წარმოადგენს საქონელზე (მომსახურებაზე) გაწეული მონეტარული დანახარჯების წილს მონეტარული სამომხმარებლო დანახარჯების მთელ მოცულობაში. ცალკეული ქალაქის წონები გამოითვლება სამომხმარებლო მონეტარული დანახარჯების მთელ მოცულობაში შესაბამისი რეგიონის დანახარჯების წილის მიხედვით. ქალაქების წონების განსაზღვრა ასევე ეფუძნება ეროვნული ანგარიშებისა და შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის მონაცემებს. წონების განახლება ხდება ყოველწლიურად, ზემოაღნიშნული წყაროებიდან მიღებული უახლესი მონაცემების გამოყენებით. t პერიოდის წონებისთვის საბაზო პერიოდად გამოიყენება t-2 პერიოდის მონაცემები.

უმცირესი დონის ინდექსი მიიღება ფასების ფარდობების საშუალო გეომეტრიულის საფუძველზე. სამომხმარებლო ფასების ინდექსი მთელი სამომხმარებლო კალათისთვის გამოითვლება ლასპეირესის ტიპის ფორმულით. ეროვნული ინდექსი წარმოადგენს ცალკეული ქალაქების უმცირესი ან ზედა დონის ერთობლიობების ინდექსების შესაბამისი ქალაქების წონებით შეწონილ არითმეტიკულ საშუალოს. სამომხმარებლო კალათის ან საქონელ-წარმომადგენელთა სპეციფიკაციების ყოველწლიური განახლების პერიოდში, დეკემბერში, ხდება ფასების შეგროვება როგორც ძველი, ისე ახალი კალათის სახეობებისთვის, რაც განსხვავებული კალათების ჯაჭვური გადაბმის საშუალებას იძლევა. ჯგუფის წონების ან კომპონენტების ცვლილების მიუხედავად, ინდექსების ჯაჭვური გადაბმით შესაძლებელია ჯგუფის ინდექსის გაანგარიშება გრძელვადიანი საბაზო პერიოდით.

**18.6. მოსწორება**  
 არ გამოიყენება.

**19. კომენტარი**  
 -